ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N5

15 მარტი, 2018 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, გ. გოცირიძე, ნ. ვაჩეიშვილი, ე. კუხიანიძე, ქ. ჯოხაძე, ა. ლაშხი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. გიორგი ტყემალაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
2. ირაკლი ზარქუა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. გიორგი ბირბიჩაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. გიორგი ჩაკვეტაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. დავით ჭელიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. რიმა ბერაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. დავით რურუა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. თევდორე ისაკაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. დავით უჯმაჯურიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. შალვა ოგბაიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. ლევან ჯაფარიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. ვახტანგ შაქარიშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. კახაბერ გვანცელაძე - ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ დირექტორი;
2. ა(ა)იპ „ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ ფინანსური აღრიცხვისა და დაგეგმარების სამსახურის უფროსი;

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი : ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ ანგარიში განხორციელებული სამუშაოების შესახებ (22.11.2017 – 22.02.2018).**

   მომხსენებელი: ბატონი კახაბერ გვანცელაძე
   თანამდებობა: ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ დირექტორი.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ქალბატონ თამარ ტალიაშვილის, განმარტებით, კომისიის მიმდინარე გაფართოებულ სხდომაზე განიხილავენ ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ ანგარიშს. მისივე თქმით, განათლებისა და კულტურის კომისია კვარტალში ერთხელ განიხილავს სკოლამდელი განათლების სფეროში განხორციელებული სამუშაოების, მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების შესახებ საკითხებს, ამჯერად კი კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს შესაძლებლობა ექნებოდათ, მოუსმინოს ბატონ კახაბერ გვანცელაძეს, რომელიც ისაუბრებს გასული სამი თვის განმვალობაში განხორციელებულ სამუშაოებზე და წარმოადგენს, ასევე სამომავლოდ დაგეგმილ ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიისა და ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ თანამშრომლობა ეფექტიანია და მოკლედ მიმოიხილა ერთობლივი თანამშრომლობით განხორციელებული აქტივობები, მათ შორის 2014 წელს სპეციალური საჭიროებების მქონე აღსაზრდელებისათვის ერთი წლით უფასო სერვისის მიწოდების გახანგრძლივება. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა ჩარიცხვის წესში ცვლილება - დეპუტატის თქმით, ცვლილების თანახმად, პრიორიტეტულად განისაზღვრა აღსაზრდელების სოციალური კატეგორიები და შემოიტანა მეტი სამართლიანობის პრინციპი ჩარიცხვისას. თუმცა, აქვე აღნიშნა, რომ აღსაზრდელების ბაღებში ჩარიცხვისას კვლავ რჩება გამოწვევები, სხვადასხვა რაიონის ბაღებში ადგილების დეფიციტის გამო.

ქალბატონ თამარ ტალიაშვილის თქმით, ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც კომისიის ინიციატივით განხორციელდა, იყო თბილისის

ყველა საჯარო ბაგა-ბაღში ფსიქოლოგის, ლოგოპედისა და სპეც-პედაგოგის შტატის შემოღება.

ქალბატონი თამარ ტალიაშვილის თქმით, განათლებისა და კულტურის კომისიისა და ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ თანამშრომლობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში ახალი სტანდარტების დანერგვა, რომელიც გათვალისწინებულია 2016 წელს მიღებული ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით.

დეპუტატის განმარტებით, გასული წლის თებერვალში, განათლებისა და კულტურის კომისიასთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, გაეროს ბავშვთა ფონდის ექსპერტების, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის, ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსა“ და მერიის შესაბამისი სამსახურის აქტიური ჩართულობით. შედეგად, ქ. თბილისის საკრებულომ გასულ წელს მიიღო ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ'' საკრებულოს N13-52 დადგენილება, ასევე მომზადდა 4 ნორმატიული აქტის პროექტი, უახლოეს მომავალში კი ჩაინიშნება სამუშაო შეხვედრა და განიხილება აღნიშნული პროექტები, რაც უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნება ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ'' კანონის ცხოვრებაში გასატარებლად თბილისის მასშტაბით.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ხსენებული კანონის ასამოქმედებლად თბილისის საკრებულოს მიერ შესრულებული სამუშაო იყო საფლაგმანო ქვეყნის მასშტაბით, კანონიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტებში ახალი სტანდარტების დანერგვის თვალსაზრისით. მისი თქმით, განსახილველი იქნება ბევრი საინტერესო თემა: ინკლუზიური განათლება, ბაღებში მეთოდოლოგიისა და ხარისხის გაუმჯობესება, ახალი ბაღების მშენებლობა ადგილების დეფიციტის აღმოსაფხვრელად და ევროპული სტანდარტის ინფრასტრუქტურის განსავითარებლად.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე, მადლობა გადაუხადა ქ. თბილისის მერს, რომლის წინასაარჩევნო დაპირება იყო ახალი ბაღების მშენებლობა. მან მოუწოდა რაიონების მაჟორიტარ დეპუტატებს ჩაერთონ ახალი ბაღების მშენებლობისთვის ადგილების განსაზღვრის პროცესში.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა სიტყვა გადასცა ბატონ კახაბერ გვანცელაძეს - ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ დირექტორს და

აღნიშნა, რომ მისი მოხსენების დასრულების შემდგომ, სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდება.

1. ბატონი კახაბერ გვანცელაძე მიესალმა სხდომაზე მონაწილეებს. მან მადლობა გადაუხადა ქ. თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას თანამშრომლობისთვის, ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ ყოფილ ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და განხორციელებული პროექტებისათვის.

ბატონი კახაბერის თქმით, ბავშვთა უსაფრთხოება სააგენტოს უმთავრესი პრიორიტეტია, შესაბამისად, ისაუბრებს აღნიშნულზე, ისევე როგორც, ინფრასტრუქტურაზე, რეგულაციებზე, სააგენტოს ინსტიტუციურ განვითარებაზე, ფინანსებზე, შესყიდვებსა და ბიუჯეტის შესრულებაზე.

მისი თქმით, ბავშვთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, უმთავრესი იყო არსებული მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგის განხორციელება მეთოდოლოგიის, ინფრასტრუქტურის, შესყიდვების მიმართულებებით, რათა დადგენილიყო პრობლემები. ამისთვის სააგენტომ შეისწავლა თითოეული საბავშვო ბაგა-ბაღის დოკუმენტაცია, შეხვდა 60-მდე ბაღის ხელმძღვანელობას, მონიტორინგის შედეგების მიხედვით კი შეიქმნა სამოქმედო გეგმა, რომლის შესაბამისადაც დღემდე მოქმედებს სააგენტო.

ბატონმა კახაბერმა აღნიშნა, რომ პირველი რიგის ამოცანა იყო ბავშვთა უსაფრთხოების კუთხით, შენობების კონსტრუქციული მდგრადობის შესწავლა, რისთვისაც სააგენტომ მიმართა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ და მასთან ერთად დაიწყო შენობების მდგრადობის შესწავლა. უკვე მზადაა 26 ბაღის შენობაზე დასკვნები. რამდენიმე ბაღზე, რომელიც დასკვნის მიხედვით არ ექვემდებარება ფუნქციონირებას, განხორციელდა მყისიერი რეაგირება. ზოგიერთი ბაღი საჭიროებს გამაგრებას და შესაბამისად, სააგენტოს აქვს სამოქმედო გეგმა. სააგენტოს ასევე, წარედგინა ყაზტრანსგაზის რეკომენდაციები, რომელთა მიხედვით, ბაღების სამზარეულოები და გათბობის სისტემები უნდა გადავიდეს საერთაშორისო სტანდარტებზე. ამასთან დაკავშირებით, მზადდება სატენდერო დავალება და უახლოეს მომავალში სააგენტო გამოაცხადებს ტენდერს. სახანძრო უსაფრთხოებაც ბავშვთა უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და ექსპერტებთან ერთად დღესაც მუშაობს სააგენტოს ინფრასტრუქტურის სამსახური, მიმდინარეობს დავალების შემუშავება და უახლოეს მომავალში დაინერგება სახანძრო უსაფრთხოების მაღალი სტანდარტები. რაც შეეხება, სამეთვალყურეო კამერებს, მიმდინარე წელს ათეულობით კამერა დაემატება ბაღებს. ასევე, სააგენტოს წინა ხელმძღვანელობის მიერ დაწყებული პროცესი ბაღის ფანჯრებზე დამცავი ბადეების დამონტაჟებაც აქტიურად გრძელდება უბედური შემთხვევების თავიდან არიდებისა და სტანდარტების დაცვის მიზნით.

რაც შეეხება ჯანმრთელობის კონტროლს, სააგენტომ თანამშრომლობა დაიწყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტთან. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. სამინისტრო ამზადებს სხვადასხვა ინსტრუქციებს საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის, მათ შორის, ტუბერკულოზის მიმართულებით. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალურ წითელას საკითხთან დაკავშირებით კი შესაბამისი ინსტრუქციები დაურიგდა ბაღებს.

ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ბატონმა კახაბერმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობს 13 ბაღის მშენებლობა. მიმდინარე წლის სექტემბრიდან 10 ახალი ბაღი გაიხსნება, რომელთა ჩამონათვალს (თუ რომელი ბაღები რომელ რაიონებში გაიხსნება) სააგენტო მოგვიანებით მიაწვდის განათლებისა და კულტურის კომისიას. დამატებით 3 000-მდე ბავშვს ექნება ბაღებში ჩარიცხვის შესაძლებლობა. პარალელურად, სააგენტო მუშაობს ავარიულ შენობებზე, აქვს ორწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით, გამაგრდება 26 საბავშვო ბაღი, მოხდება 10 ბაღის დემონტაჟი და აღდგენა, რომელიც 2019 წლის ბოლოს დასრულდება.

ბატონი კახაბერის თქმით, დიდი ინტერესი გამოიწვია ბავშვთა კვების რეფორმამ, რომელიც სააგენტომ საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე შეცვალა და რომლითაც სრულად არის დადგენილებით გათვალისწინებული კვების მენიუ, დღიური ნორმა და კალორაჟი.

ბატონი კახაბერის თქმით, სააგენტოსთვის ინსტიტუციური განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტია. მიმდინარე წელს იგეგმება, რომ სააგენტომ აიღოს ISO9001 2015-ის სტანდარტი, რაც სააგენტოში მენეჯმენტის ხარისხს გააუმჯობესებს.

ბატონი კახაბერის განმარტებით, ხშირად ისმის შეკითხვები, თუ როგორი იქნება თანამშრომელეთა კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა, როგორ გაიზრდება ხელფასები და სხვ. მისი თქმით, სააგენტოს უნდა ეს საკითხები ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიაში ასახოს, რაშიც მნიშვნელოვანი იქნება თბილისის საკრებულოს, მისი განათლებისა და კულტურის კომისიის, ქალბატონი თამარ ტალიაშვილის ჩართულობა. უახლოეს თვეებში სააგენტო დაიწყებს აღნიშნულ პროცესში მონაწილეებთან შეხვედრებს მათი მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით.

გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით, ბატონმა კახაბერმა განმარტა, რომ სააგენტო შეხვდა სააღმზრდელო პროცესში ჩართულ ყველა მონაწილეს: მშობლებს, აღმზრდელ-პედაგოგებს, დირექტორებს. ჩატარდა რაიონული შეხვედრებიც, რომელსაც შესაბამისი მაჟორიტარი დეპუტატიც ესწრებოდა. ასევე შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა რაიონის ბაღების 20 დირექტორი და მათთან იმართება პერიოდული შეხვედრები, რათა სააგენტოს გეგმები შეთანხმდეს ბაღების დირექტორებთან, თანამშრომლებთან და მშობლებთან. საკოორდინაციო საბჭოს მეშვეობით სააგენტო, ასევე იღებს უკუკავშირს

აღნიშნული პირებისგან. მისი თქმით, დაინერგა ელექტრონული დოკუმენტბრუნვა და პროექტი ,,სერვის+'', რომელიც მიმდინარე წლის აპრილის თვიდან დაიწყებს მუშაობას. მისი საშუალებით, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება ექნება მუდმივ რეჟიმში ჰქონდეს კონტაქტი ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთან", ცხელ ხაზზე მიმდინარე საუბარი ჩაიწერება და დაინტერესებულ პირებს მიეწოდებათ სერვისი 9 საათის განმავლობაში დღიურად. გამოყოფილი იქნებიან კონკრეტული კონსულტანტები ფინანსების, კვების, შესყიდვების, ჰიგიენისა და სხა მიმართულებებით.

ბატონი კახაბერის ინფორმაციით, შეიქმნა ფონდების მოძიების ჯგუფები, კომუნიკაციები დაიწყება ადგილობრივ და საერთაშორისო დონორებთან და საელჩოებთან. არსებობს კომუნიკაციის გეგმა, კალენდარი და მერიის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებასთან ერთად, დაიწყება დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება ბაღებისთვის.

ასევე, მისი განმარტებით, ფინანსებისა და შესყიდვების კუთხით, განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმა, რომლის ფარგლებშიც, გაკეთდა წლიური ბიუჯეტირება და ბაღებისათვის ფისკალური წელი 15 იანვარს დაიწყო. ყველა ბაღი ფინანსურად ერთი წლით იგეგმება, რასაც მეტი ეკონომია და დანაზოგი მოაქვს და ბაღების ბიუჯეტი მეტად გამჭირვალე გახდა.

ბატონმა კახაბერმა ყურადღება გაამახვილა შესყიდვების პროცესზე და განმარტა, რომ მიუხედავად, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონისა, რომლის მიხედვით, ბაღებს არ ევალებათ სატენდერო პროცედურების განხორციელება საჯარო დაწესებულებებისგან განსხვავებით, სააგენტომ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც, ბაღებმა უნდა გამოიკვლიონ ფასები, ანუ წარმოადგინონ ინვოისები მინიმუმ სამი კომპანიისგან და მათი მიხედვით განახორციელონ ნებისმიერი შესყიდვა. მისი თქმით, ამას მნიშვნელოვანი სარგებელი აქვს ფინანსების მართვისა და გამჭირვალობის კუთხით.

საკრებულოს წევრი, ბატონი ირაკლი ზარქუა დაინტერესდა, თუ როდის დაიწყო სააგენტომ აღნიშნული წესით შესყიდვები და სთხოვა, დაეზუსტებინა პროცედურა, ასევე, სთხოვა, განემარტა თუ რა ფორმით ახორციელებდა სააგენტო შესყიდვების პროცესის მონიტორინგს. ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ განმარტა, რომ 2018 წლის 15 იანვრიდან სააგენტომ დაამკვიდრა აღნიშნული პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, ბაღების დირექტორები სხვადასხვა კომპანიებისგან გამოითხოვენ ფასების ნუსხებს, ინვოისებს და თავად ბაღები შეისყიდიან ყველაზე დაბალი ფასის მომსახურებას/საქონელს. თუ რომელიმე მომსახურების ან საქონელის შესასყიდად ბაღს არ აქვს საკმარისი სახსრები, იგი თავისთავად მიმართავს ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს" თანხმობისთვის. მონიტორინგთან დაკავშირებით კი ბატონმა კახაბერმა განმარტა, რომ სააგენტო აქტიურად უწევს

მონიტორინგს ბაღების მიერ შესყიდვის პროცედურას, ამასთან ბევრი შესყიდვა, რაზეც ადრე ტენდერი არ ტარდებოდა, დღეს სააგენტოს მიერ ხდება, მაგალითად, ჰიგიენური ნაწარმი, თუმცა ბავშვთა სათამაშოები და სააღმზრდელო კანცელარია უშუალოდ ბაღების მიერ შეისყიდება.

ბატონი ირაკლი ზარქუა ასევე დაინტერესდა თუ ვინ ახორციელებს შესყიდვებს გადაუდებელ სიტუაციებში. საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა კახაბერმა განმარტა, რომ ბაღებს აქვთ მთლიანი ბიუჯეტის 3% გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის, თუმცა მათ სააგენტოს უნდა აცნობონ გადაუდებელ მდგომარეობასთან დაკავშირებით, მიიღონ თანხმობა და განახორციელონ რეაგირება, ხოლო როცა ბაღებს არ ჰყოფნით საკუთარი სახსრები რაიმეს შესასყიდად, მათ სააგენტო ეხმარება.

ბატონი კახაბერის თქმით, მიმდინარე დროისთვის ბაღების ბიუჯეტი 105 მილიონ ლარს შეადგენს და მისი შესრულება დაახლოებით 20%-ია. რაც მისი თქმით, ეფექტიან ხარჯვას ნიშნავს.

ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ უკვე განხორციელებულ სამუშაოებზე ინფორმაციის წარმოდგენის შემდეგ, საუბარი გააგრძელა სააგენტოს სამომავლო გეგმების თაობაზე. მისი თქმით, ამჟამად თბილისის საჯარო ბაღებში 61,500 აღსაზრდელია, ფუნქციონირებს 171 ბაღი, დასაქმებულია 9,300 თანამშრომელი. სააგენტოს პრიორიტეტებია: ბავშვთა უსაფრთხოება, ბაგა-ბაღების მშენებლობა, სტანდარტების ინტეგრირება, პოზიტიური გარემოს შექმნა, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა, ინსტიტუციური განვითარება და გამჭირვალობა. მისი თქმით, სწორედ ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით არის დაგეგმილი კონკრეტული პროექტები და აქტივობები, რომელსაც განახორციელებს ბაღების მართვის სააგენტო უახლოესი თვეების განმავლობაში.

ბატონი კახაბერის ინფორმაციით, სააგენტო მსოფლიო ბანკთან ერთად მუშაობს საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების ენერგო-აუდიტის საკითხზე, რისთვისაც წარადგენს საპილოტედ 5 ბაღის შენობას და მათი ენერგო-აუდიტის შედეგების საფუძველზე, სააგენტო მოამზადებს ერთიან გეგმას ყველა ბაღის ენერგო-ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

ბატონი კახაბერის თქმით, ის იყო ტექნოლოგიური განვითარების ფონდის ხელმძღვანელი, როდესაც 95-ე საბავშვო ბაგა-ბაღში განხორციელდა ენერგო-ეფექტურობის პროექტი, რის მაგალითზე მომზადდა ფინანსური კალკულაცია, დაახლოებით რა რესურსია საჭირო ბაღების ენერგო-ეფექტურობის მისაღწევად, თუმცა მისი განმარტებით, მაგრამ მსოფლიო ბანკის დახმარებით ჩატარებული ენერგოაუდიტი მოგვცემს სრულ სურათს ამ პროექტისათვის საჭირო რესურსზე.

ბატონი კახაბერის ინფორმაციით, შეიცვალა მონიტორინგის ფორმატი და ამჟამად ორფაზიანია. ბაღების შემოწმებისას პირველი ეტაპია პრევენცია და

რეკომენდაციების გაცემა, რომელზეც იკვეთება პრობლემები, ბაღებს ეძლევათ კონკრეტული გზამკვლევი, თუ როგორ უნდა გადაჭრან კონკრეტული პრობლემები. ამის შემდეგ, სააგენტო გადადის მეორე ფაზაზე, რაც აქტიურ კონტროლსა და დისციპლინური ზომების გატარებას გულისხმობს.

ბატონი კახაბერის თქმით, სააგენტო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, მუშაობს სხვადასხვა სტანდარტის ინტეგრირებაზე. მაგალითად, სამინისტროსთან შეხვედრაზე განიხილეს სმენადაქვეითებულ და მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა შესაბამისი მომსახურებებით უზრუნველყოფის საკითხი. მისი თქმით, თბილისში ფუნქციონირებს სმენადაქვეითებულთა და მხედველობადაქვეითებულთა ბაღები და სამინისტროსთან ერთად იგეგმება ამ ორ ბაღში ახალი სტანდარტის ინტეგრირება.

კომისიის თავმჯდომარე დაინტერესდა ამ სტანდარტებში ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები იგულისხმება (ანუ ბაღების შიდა წესები), თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებსაც ქ. თბილისის საკრებულო იღებს, რასთან დაკავშირებითაც ბატონმა კახაბერმა განმარტა, აღნიშნული არის შიდა წესები და არა საკრებულოს აქტები.

ბატონმა კახაბერმა, ასევე აღნიშნა, რომ პოზიტიური გარემოს შექმნა საბავშვო ბაგა-ბაღებში სააგენტოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, რისთვისაც ზაფხულში იგეგმება ეზოების კეთილმოწყობა, სათამაშოების განახლება, გამწვანება, მეთოდური მასალების განახლება, ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვა. აგრეთვე, პრიორიტეტულია ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა, დაწყებულია პანდუსების მონტაჟი ბაღებში, იდგმება ნაბიჯები მეთოდოლოგიის გასაუმჯობესებლად. მისი ინფორმაციით, სააგენტო გეგმავს, შექმნას ინკლუზიური განათლების ხელმშემწყობი გუნდი, რომელშიც ასევე, ჩაერთვება არასამთავრობო სექტორი.

ბატონი კახაბერის თქმით, სააგენტოს პრობლემებია: ბაღების ავტორიზაცია, ინფრასტრუქტურული რეგულაციის რეგლამენტი, ბიუჯეტის დეფიციტი. სააგენტო აქტიურად მუშაობს მათზე და აქვს ხელშეწყობა, განსაკუთრებით თბილისის მერიიდან. მანვე მადლობა გადაუხადა თბილისის მერს და თბილისის მთავრობის წევრებს, რამდენიმე თვის წინ ბაღების ბიუჯეტისთვის 4,100,000 ლარის დამატებისათვის, რომლებიც ავარიული შენობების რეაბილიტაციას მოხმარდება.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ თბილისის საკრებულოს დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ ინიციატივას, რისთვისაც ბატონმა კახაბერმა მას და საკრებულოს დეპუტატებს მადლობა გადაუხადა.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა მადლობა გადაუხადა ბატონ კახაბერს წარმოდგენილი ანგარიშისთვის და აღნიშნა, რომ ჩანდა საკითხებისადმი სისტემური

მიდგომა. დეპუტატის თქმით, თბილისის საკრებულო ერთი წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა ბაღებში მისაღებ ნორმატიულ აქტებზე და ვინაიდან ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთან შეჯერებულია ეს საკითხი, უკვე შეიძლება განისაზღვროს სამუშაო ჯგუფის შეხვედრის თარიღი, რომელშიც ჩაერთვება მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო", მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, თბილისის საკრებულოს ყველა კომისია, რომელიც აქტიურად მონაწილეობდნენ ამ სამუშაოებში, რათა ერთობლივად და კოორდინირებულად განიხილონ ორი ნორმატიული აქტი: ბაგა-ბაღების პერსონალის პროფესიული სტანდარტები და დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ბატონმა კახაბერმა დაადასტურა სააგენტოს მზაობა სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში მონაწილეობაზე. მანვე მადლობა გადაუხადა კომისიის თავმჯდომარეს, რადგან აღნიშნული აქტები გარკვეულწილად, უკვე განიხილეს ბაღების დირექტორებთან ერთად.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ განათლებისა და კულტურის კომისია კოორდინირებას გაუწევს ჯგუფის შეკრებას. ბუნებრივია, დაუკავშირდება გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობას, რომელმაც აქტიური დახმარება გაუწია ამ სამუშაო პროცესს.

ქალბატონი თამარ ტალიაშვილი დაინტერესდა ბაღებში ვიდეო-მეთვალყურეობის საკითხით. მისი თქმით, განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატთან გაფორმდა მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც ჩატარდა ბაღების მენეჯმენტის ტრეინინგი. დეპუტატი დაინტერესდა ვიდეო-კამერების ჩანაწერთა დამუშავებისა და აღნიშნული ტრენინგების გაგრძელების საკითხით.

ბატონმა კახაბერმა საპასუხოდ აღნიშნა, რომ ვიდეო-კამერების ჩანაწერებზე პერიოდულად აქვთ კომუნიკაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან და ეს კომუნიკაცია თავისთავად გაგრძელდება.

საკრებულოს დეპუტატმა ბატონმა გიორგი ბირბიჩაძემ თბილისში 83-ე საბავშვო ბაგა-ბაღის ეზოში გაზის გამანაწილებელი მოწყობილობის გადატანის, ან შემოღობვის საკითხი დააყენა, ვინაიდან აღნიშნული გამანაწილებელიდან ვრცელდება გაზის სუნი და საშიშია ბავშვთა უსაფრთხოებისთვის. ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ განმარტა, რომ სააგენტო უახლოეს დღეებში გაივლის აღნიშნულ საკითხს გაზის სადისტრიბუციო კომპანიის ყაზტრანსგაზ თბილისის წარმომადგენლებთან.

დეპუტატმა ლევან ჯაფარიძემ მან მადლობა გადაუხადა ბატონ კახაბერ გვანცელაძეს და სააგენტოს გუნდს გაწეული სამუშაოების წარმოდგენისთვის და განმარტა, რომ

დაგეგმილი რეფორმების განსახორციელებლად ბაღების სააგენტო საკმარისად მუშაობს.

ბატონ კახას მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრმა, ბატონმა შალვა ოგბაიძემ პრეზენტაციისთვის. მანვე აღნიშნა, რომ სააგენტოში ბატონი კახაბერ გვანცელაძის მისვლის შემდეგ ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა და თბილისის მაჟორიტარებიც ცდილობენ, რომ იყვნენ თბილისის მერიის სამსახურებისა და ბატონი კახაბერ გვანცელაძის დასაყრდენები. ბატონმა შალვამ აღნიშნა, რომ სოფელ გლდანში ბაღის სამშენებლო სამუშაოები მალე დასრულდება, სადაც პროექტირების დროს შეცდომა იქნა დაშვებული. სააგენტოს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ადგილზე და გაეცვნენ პრობლემას. დეპუტატი აღნიშნული ბაღის მიმდინარე მდგომარეობით დაინტერესდა, რაზეც ბატონმა კახაბერმა შესაცვლელია სანიაღვრე ქსელები და სააგენტო ფიქრობს, რომ გამგეობასთან ერთობლივი ძალებით გადაჭრის აღნიშნულ პრობლემას.

საკრებულოს წევრის, ქალბატონი რიმა ბერაძის თქმით, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნებით გამოჩნდება, რომ ჩუღურეთის რაიონის თითქმის ყველა ბაღი რთულ მდგომარეობაშია. გასულ წელს გაკეთდა პროექტი და გამოინახა თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ნაკვეთი ნინოშვილის ქუჩაზე, დაიწყო იქვე მდებარე მე-10 საბავშვო ბაღის ამ ლოკაციაზე გადმოტანის დაგეგმვა. ჩუღურეთის გამგეობა თვლიდა, რომ 2018 წელსვე დაიწყებოდა ამ ბაღის მშენებლობა და შესაბამისად, დეპუტატი დაინტერესდა აღნიშნული მშენებლობის ეტაპით. ასევე, იკითხა თბილისის 119-ე საბავშვო ბაღის მდგომარეობის თაობაზე.

ბატონი კახაბერის თქმით, ბაღების სააგენტოს ბიუჯეტში უკვე ასახულია ამ ბაღის გამაგრებითი სამუშაოები, რომლებიც წელს ჩატარდება. თბილისის ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი 4,100,000 ლარიდან გარკვეული სახსრები 119-ე ბაღსაც მოხმარდება. ბაღის ადმინისტრაციული შენობა დემონტაჟს საჭიროებს, შესაბამისი სამუშაოები ზაფხულში დაიწყება. მისივე თქმით, 26 ბაღიდან, რომელზეც უკვე მზადა არის დასკვნა, 10 ბაღის ფუნქციონირება შემდეგში აღარ შეიძლება.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პრაქტიკულად, 2014 წლამდე ბაღები მხოლოდ იხურებოდა და ახლები არ შენდებოდა. მისი თქმით, ახლად აშენებული 12 ბაღის გარდა მოქმედი ყველა საბავშვო ბაღი ძველია. პრაქტიკულად, ყოველწლიურად ან ორ წელიწადში ერთხელ, რომ ჩატარდეს ექსპერტიზა, ავარიული ბაღების რაოდენობა გაიზრდება. მისი განმარტებით, საზოგადოება სამართლიანად მოელის, რომ აღსაზრდელები უსაფრთხო გარემოში უნდა იყვნენ. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული მოითხოვს ბიუჯეტს და საჭიროა საჯარო კონსენსუსი. თბილისის საკრებულო მხარს უჭერს ბიუჯეტის ამ მიმართულებით ზრდას და იგი მომავალშიც განაგრძობს სააგენტოს მხარდაჭერას.

საკრებულოს დეპუტატის, ვახტანგ შაქარიშვილის თქმით, რამდენიმე უბანში ბაღებზე მოთხოვნა აღემატება იქ არსებულ ადგილებს და ბაღები გადატვირთულია. რამდენადაც ცნობილია, ახალი ბაღების მშენებლობისთვის, რეგლამენტით გათვალისწინებულია დაახლოებით 5 000 კვ. მეტრი, მაშინ როდესაც თუნდაც საბურთალოზე ვერსად ნახავთ 5 000 კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთს, თუნდაც კერძოს, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ბაღის აშენება. შესაბამისად, დეპუტატი დაინტერესდა, იგეგმება, თუ არა რეგლამენტის გადახედვა, რომლის მიღება დროებით შეჩერებულია. მისი თქმით, ნებისმიერი დოკუმენტი, რაც არ უნდა მიმზიდველად გამოიყურებოდეს უნდა ერგებოდეს არსებულ რეალობას და პირობებს. მისი თქმით, ხსენებული რეგლამენტის, ამ სახით მიღების პირობებში, ფაქტობრივად, გამოირიცხება ახალი ბაღების მშენებლობა.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა მიმართა ბატონ ვახტანგ შაქარიშვილს და აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურის, ჰიგიენის თუ სხვადასხვა სტანდარტის მიღება ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ'' 2016 წლის კანონის საფუძველზე მიმდინარეობს და მართლაც, ინფრასტრუქტურის სტანდარტის პროექტში ბევრი საკითხი საჭიროებს გადახედვას. აღნიშნულს იაზრებს თბილისის საკრებულო, ბაღების მართვის სააგენტო, სხვადასხვა სამინისტროები, უწყებები და მთავრობის წევრები. აქედან გამომდინარე, ეს რეგლამენტი ამჯერად დამუშავების პროცესშია.

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ტყემალაძე დაინტერესდა ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე ბაღისა და მასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების საკითხით. რაზეც ბატონმა კახაბერმა განმარტა, რომ იგეგმება აღნიშნული ბაღის რეკონსტრურქცია და ეს საკითხი გათვალისწინებულია იმ პროექტებში, რომელიც უნდა განხორციელდეს თბილისის ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი 4,100,000 ლარის ფარგლებში. მისი თქმით, სააგენტო გეგმავს, რომ ჩაატაროს ბაღის გამაგრებითი სამუშაოები მისი ფუნქციონირების ერთი წლით გახანგრძლივების მიზნით, შემდეგ კი მის დემონტაჟსა და ახლის აშენებას მის ადგილას. დამატებით, მან აღნიშნა, რომ ამჟამად სააგენტო ახალი ბაღის მშენებლობის პროექტირებაზე მუშაობს და მზადდება სატენდერო დავალება. რაც შეეხება, გამაგრებას, მისი თქმით, აღნიშნულს არ სჭირდება ტენდერის ჩატარება და იგი სააგენტოს აქტის საფუძველზე განხორციელდება.

ბატონი გიორგი დაინტერესდა, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა პირდაპირ ბაღის დემონტაჟი და ახლის მშენებლობის დაწყება. რაზეც, ბატონმა კახაბერმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში საჭირო გახდებოდა ბაღის აღსაზრდელების ახალ შენობაში გადაყვანა და მისი იჯარით აღება, რაც ხარჯებს გაზრდიდა. მისივე განმარტებით, როდესაც ბავშვებს უწევთ ავარიული ბაღის დატოვება, სააგენტო მათ ან სხვადასხვა ბაღში ანაწილებს, ან შენობას იღებს იჯარით. სხვა ბაღებში აღსაზრდელების

გადანაწილებისას ფერხდება სააღმზრდელო პროცესი და ამიტომ, რჩება მხოლოდ იჯარის შესაძლებლობა.

საკითხს გამოეხმაურა ქალბატონი რიმა ბერაძე. მისი თქმით, უმჯობესია ავარიული ბაღების დემონტაჟი, ცოტა ხნით აღსაზრდელები სხვა ბაღებში განაწილდნენ და დანგრეულის ადგილას ახალი ბაღები აშენდეს, ვიდრე ჯერ გამაგრდეს ძველი შენობა, შემდეგ დაინგრეს და ახლის შენება დაიწყოს. მისი თქმით, ამ გზით დაიზოგება სახსრები.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა გულია გოცირიძემ მიმართა ბატონ კახაბერ გვანცელაძეს და თქვა, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილია, ახალი ბაღების მშენებლობა წინასწარაა გათვალისწინებული ბაღების სააგენტოს ბიუჯეტში. ამიტომ, იგი დაინტერესდა აქვს, თუ არა, აზრი სააგენტოსთვის გლდანში ახალი ბაღის მშენებლობის მოთხოვნით მიმართვას.

ამავე საკითხზე კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბაღების შენობები საკმარისი არ არის თემქაზეც. მისივე თქმით, არსებობს თბილისში მშენებარე ბაღების სია. მან მიმართა საკრებულოს მაჟორიტარებს განათლებისა და კულტურის კომისიას მიაწოდონ თავიანთ სამაჟორიტარო ტერიტორიაზე არსებული ბაღების ინფრასტრუქტურული პრობლემების შესახებ მონაცემები. აღნიშნულს კომისია შეჯერებული სახით გადაუგზავნის ბაღების მართვის სააგენტოს, როგორც ამას ადრეც აკეთებდა.

ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ განმარტა, რომ ბაღების მართვის სააგენტოს აქვს ინტერაქტიული რუკა, სადაც გამოსახულია აშენებული, მშენებარე ბაღები, ასევე პოტენციური ტერიტორიები, თუ სად შეიძლება ახალი ბაღების მშენებლობა. მისი თქმით, სააგენტო გამოუგზავნის ამ რუკას თბილისის საკრებულოს. სააგენტო ასევე მუშაობს თბილისის არქიტექტურის სამსახურთან გენერალური განვითარების გეგმის საკითხზე. არქიტექტურის სამსახური სააგენტოს აწვდის ცნობებს მოსახლეობის ინტენსიფიკაციაზე, საიდანაც დგინდება ტერიტორიები სადაც საჭიროა ბაღების მშენებლობა.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისიამ ცნობად მიიღო ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ მიერ წარმოდგენილი ანგარიში გაწეული სამუშაოების შესახებ, მან მადლობა გადაუხადა ბატონ კახაბერ გვანცელაძეს წარმოდგენილი ანგარიშისა და საკითხის განხილვაში მონაწილეობისთვის და ასევე განმარტა, რომ ზემოთ აღნიშნული სტანდარტების განსახილველად სამუშაო ჯგუფი უახლოეს მომავალში შეიკრიბება.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თამარ ტალიაშვილმა, კახაბერ გვანცელაძემ, გიორგი ბირბიჩაძემ, რიმა ბერაძემ, შალვა ოგბაიძემ, ლევან ჯაფარიძემ, ვახტანგ შაქარიშვილმა, გიორგი ტყემალაძემ, გულია გოცირიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი